



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურის

010175362979313

24 / ივნისი / 2013 წ.

KA010175362979313
ქ.თბილისი

ბრძანება 109

უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ბალანსიდან მოხსნის შესახებ
„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის
შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქ. ბათუმში, რუსთაველის/გრიბოედოვის ქ. № 55/2-ში მდებარე 906.83 კვ.მ. ფართობის
შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.23.04.025),
საწყისი ღირებულებით 349990 (სამასორმოდცდაცხრაათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი,
ხოლო ნარჩენი ღირებულებით - 287555.33 (ორასოთხმოცდაშვიდიათას
ხუთასორმოდცდათხუთმეტი ლარი და 33 თეთრი) ლარი და ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ.
№48-ში მდებარე 24 კვ.მ. ფართობის ავტოფარეხი საწყისი ღირებულებით 2 420 (ორიათას
ოთხასოცი) ლარი და ნულოვანი ნარჩენი ღირებულებით, მოხსნილ იქნას აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ბალანსიდან;

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

2013 წლის 17 აპრილის №01-10/1912 წერილი.

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე

შოთა რეხვიაშვილი



აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის პროკურატურა



KA010167439421013

ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის 7, ტელ.:(04 222) 7 43 01; (0322) 40 56 13

№ 13/07-25219 04 / მარტი / 2013 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ირაკლი თავართქილაშვილს

გთხოვთ, ბალანსიდან მოხსნის მიზნით, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქ. ბათუმში რუსთაველის/გრიბოედოვის ქ. N55/2-ში მდებარე აჭარის ა/რესპუბლიკის და ბათუმის რაიონული პროკურატურების ყოფილი შენობა-ნაგებობის (შენობა 921,73 კვმ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის და ვაჟა ფშაველას ქ. N48-ში მდებარე ავტოფარეხის (შენობა 24 კვმ) შესახებ.

აჭარის ა/რ პროკურორი

ლევან გურიშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



K:0011759756871113

60022

თბილისი 0802 წმ. ნიკოლოზის ჩვილის ქ. ტელ. (995 32) 91 04 27. ფაქსი (995 32) 91 03 45. www.sar.gov.ge

10 / აპრილი / 2013 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ დავით ბაღაძეს

2013 წლის 3 აპრილის №01-10/1618 (49594/17) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემების შესაბამისად, უძრავი წიფთი მისამართით: „ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქუჩა №48-ის მიმდებარედ“ აღრიცხული არ არის.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფის
სექტორი, სექტორის უფროსი

ზურაბ ლაზუქაშვილი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

8019 ბ. ბათუმი, კომპლენი ბ. №119 გზაძირი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 60 71)
8018 №119 Komakhvaze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 60 71)

1912-01-10-2-201304171614



N 01-10/1912
17/04/2013

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის
ბატონ ლევან გზირიშვილის

თქვენი 2013 წლის 04 მარტის №13/07-25219 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ
2006 წლის 24 ოქტომბრის №1016 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის პროკურატურას შორის 2005 წლის 24 მაისს გაფორმებული უსასყიდლო
უზუფრუძების ხელშეკრულება ქ. ბათუმში, რუსთაველის/გრიბოედოვის ქ. №55/2-ში
მდებარე უძრავი ქონების (05.03.04.017) უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

ზემოხსენებული უძრავი ქონება დაზუსტდა (ს/კ 05.23.04.025) და პირდაპირი
მიყიდვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცა შპს "სი ვიუ რესორთი"-ს.

რაც შეეხება ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. №48-ში მდებარე ავტოფარეხს, როგორც
ირვედა, მისი რეგისტრაცია სსიპ "საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო"-ში არ
გამხორციელებულა და არც ტექნიკური აღრიცხვის არქივში არ არის აღრიცხული (თან
ერთვის სააგენტოს წერილი).

დავით ზალაძე

მინისტრი

51713
19.04.13

